ამონაწერი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
სხდომის #1 ოქმიდან

13.01.2017

დღის წესრიგი

1. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზინესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ
/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

2. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 13 იანვრის #1 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ–მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის პროგრამების ხელმძღვანელების, აკადემიური პერსონალის მომართვები საგანმანათლებლო პროპგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ. ასევე გათვალისწინებული იყო სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ლიტერატურის განახლებისა და შეფასების სისტემის ცვლილების შესახებ. შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭოზე წარმოდგენილია აღნიშნული ცვლილებები. ამ

ცვლილებების შესახებ არსებობს კათედრების სხდომების ამონაწერები და შესაბამისი მიმართულების პროფესორთა სხდომის ოქმები. ეს ცვლილებები გადაგზავნილი იქნა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, საიდანაც მიღებულია თანხმობის წერილი იმის შესახებ, რომ ფაკულტეტის საბჭოზე გატანილ იქნას აღნიშნული ცვლილებები დასამტკიცებლად.

აღნიშნული ცვლილებები გადაგზავნილი იქნა ფაკულტეტის საბჭოს ყველა წევრთან ელექტრონულად. ცვლილებების მოსალოდნელი შედეგები იქნება შემდეგი: 1. წინა წელთან შედარებით ხარისხობრივად გაუმჯობედება პროგრამები; 2. იქიდან გამოდმინარე, რომ ბაკალავრიატში თავისუფალი არჩევითი კურსებისთვის განკუთვნილი იყო 10 კრედიტი და სტუდენტებს უხდებოდათ მხოლოდ სხვა ფაკულტეტის საგნების არჩევა, პროგრამაში შემოდის როგორც ქართული, ასევე ინგლისურენოვანი არჩევითი კურსები. 3. გაჩნდება უცხოენოვანი სტუდენტების მოზიდვის შესაძლებლობა. ბოლო პერიოდში გაიზარდა სტუდენტების აქტივობა გაცვლით პროგრამებში. სამწუხაროდ გაცვლითი პროგრამები ამჟამად ცალმხრივია და უცხოენოვანი სასწავლო კურსების შემთხვევაში უცხოელი სტუდენტების მოზიდვაც იქნება შესაძლებელი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსული პროფესორთა წერილებისა და ჩატარებული პროფესორთა სხდომის ოქმების თანმიმდევრობის მიხედვით, ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

1. ცვლილებები ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მოდულის „ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა“ ხელმძღვანელად წარმოდგენილია პროფ. ქეთევან მარშავას კანდიდატურა;

,,გვქონდა 2 ასეთი საგანი: ,,ეკონომიკური ინფორმატიკა“ ეკონომიკის მიმართულების საბაკალავრო პროგრამაში და ,,ბიზნეს-ინფორმატიკა“ - ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა რეკომენდაციით მიმართა შესაბამის კათედრას, რომ კათედრას წარმოედინა ერთი სილაბუსი. ეს ორი საგანი ფაქტიურად იდენტური იყო უმნიშვნელო განსხვავებებით. პროფ. დ. სიჭინავამ გაითვალისწინა ჩვენი რეკომენდაცია და საგნის დასახელება იქნება ,,ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში.“

სხვა ცვლილებების შესახებ ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა შემდეგი:
შეიცვალა საგნების წინაპირობები, სილაბუსებში განახლდა ლიტერატურა, შეიცვალა შეფასების კრიტერიუმები, შეიცვალა ან დაემატა სილაბუსის ავტორები. ეკონომიკის

ასევე, ეკონომიკის მიმართულებით პროფესორთა სხდომამ დაამტკიცა თავისუფალი არჩევითი კურსები: ორი ქართულენოვანი და 10 ინგლისურენოვანი საგანი (თან ერთვის დანართის სახით).

აზრი გამოთქვეს:

პროფესორმა ე. მექვაბიშვილმა. მან აღნიშნა, რომ წლების მანძილზე არსებობდა პრაქტიკა, როდესაც თუ ძირითადი სპეციალობა სტუდენტისთვის იყო ეკონომიკა, ის მეორე სპეციალობად ირჩევდა ბიზნესის ადმინისტრირებას. ეს პრაქტიკა, რომელიც საკმაოდ მორგებული იყო სტუდენტზე, შემდგომ გაუქმდა. ამ პრაქტიკის აღდგენის შემთხვევაში მათ ექნებათ უნივერსალური ცოდნა, რაც მათი კარიერული წინსვლისთვის მეტად მნიშვნელოვანია. მან დასვა შეკითხვა: რამ გამოიწვია ამ პრაქტიკის გაუქმება, ეს მოხდა ნორმატიული დოკუმენტის საფუძველზე? თუ არის შესაძლებელი ამ პრაქტიკის აღდგენა? არის თუ არა ეს ლეგიტიმური? ასევე სასურველია ფაკულტეტებს შორის მეტი ინტეგრაციისთვის მოხდეს სასწავლო კურსების გაცვლა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი - მან აღნიშნა, რომ ეს არის მნიშვნელოვანი წინადადებები და გაზაფხულის სემესტრიდან ამ საკითხებზე დაიწყება მუშაობა. საჭიროა მოვძებნოთ სამართლებრივი გზებიც. სხვა ფაკულტეტებთან ინტეგრირებული სწავლების თვალსაზრისით კოოპერირების ფორმა ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მხრივ ძალიან მისაღებია.

სტუდენტმა ა. ყუბანეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ცვლილებების უმეტესობა ეხება სილაბუსებში ლიტერატურის განახლებას, რაც მისასალმებელია. ასევე, შეფასების მეთოდების შეცვლაც მეტად აქტუალურია, თუმცა, სტუდენტებმა არ იციან რა ცვლილებაზეა აქ საუბარი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი - მან აღნიშნა, რომ დაინტერესებულ სტუდენტებს შეუძლიათ მობრძანდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, სადაც ისინი გაეცნობიან სილაბუსებს. ეს არის საკამოდ დიდი პაკეტი, ამიტომ ის არ იქნა გადაგზავნილი ელექტრონილად. მან სტუდენტებს მოუწოდა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ლექტორების შეფასებაში. მისი ანალიზის პროცესში კი ჩაბმულები იქნებიან სტუდენტები.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით (დანართი 1).

2. ცვლილებები ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამებში ცვლილება ეხება პროგრამის ხელმძღვანელების კანდიდატურას:

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებად წარმოდგენილია პროფესორი ი. ხელაშვილი და ასოც. პროფ. ნ. კაციტაძე;
- ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად ასევე წარმოდგენილია პროფ. ი. ხელაშვილი.

ამ მიმართულებით ყველაზე მეტი ცვლილებებია განხორციელებული და ის ეხება საგნების დასახელებებს და ავტორებს. აღნიშნული გამოიწვია იმით, რომ წარმოდგენილი სილაბუსების უმეტესობის ავტორი იყო ქ-ი მ. მარგველაშვილი. ვინაიდან ის აღარ არის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტებს საგნების არჩევის დროს ექმნებოდათ პრობლემები, რის გამოც მოხდა საგნების დასახელების მოდიფიკაცია, ლიტერატურის განახლება ისე, რომ შედეგები არ შეცვლილა. სწორედ ამ მიზეზით მოხდა ბევრი ცვლილება აღნიშნულ პროგრამაში.

აზრი გამოთქვეს:

სტუდენტმა ტ. გაგელიძემ. მან აღნიშნა, რომ პრობლემა მ. მარგველაშვილის პროგრამის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით, პირადად მასაც შეეხო რამოდენიმე საგანთან დაკავშირებით. მან დადებითად შეაფასა პროგრამის ხელმძღვანელის წარმოდგენილი კანდიდატურა. ასევე, მის მიერ აღნიშნულ იქნა ტურიზმის საერთაშორისო სკოლის მენეჯმენტის პრობლემა, კერძოდ, ტურიზმის სკოლაში სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის რაოდენობის შემცირების შესახებ, რომელიც საყურადღებოა და ფაკულტეტმა ამის შესახებ უნდა დააყენოს საკითხი. ამ მიმართულების სტაგნაციურ მდგომარეობაში ყოფნა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან, ის მზარდი სექტორია და ასევე, პრიორიტეტული. მან გამოთქვა იმედი, რომ სტუდენტებთან ერთად მომავალშიც გაგრძელდება მუშაობა ტურიზმის ეკონომიკური სკოლის საკითხებზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ე. ხარაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ შემოდგომის სემესტრის დადგომისთანავე ის მზად არის სტუდენტებთან ერთად იმუშაოს საკითხზე - ტურიზმის საერთაშორისო სკოლის მისაღები კონტინგენტის კვოტების გაზრდის შესახებ.

დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, თ. ბერიძემ. ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში მისაღები კონტინგენტის კვოტების საკითხი აქტუალურია. მიმდინარე წელს არსებულ კვოტას დაემატა მხოლოდ 5 ადგილი. მომავალში აქტიურად განიხილავს ფაკულტეტი და შეძლებისდაგვარად მოახდენს კონტიგენტის გაზრდას.

პროფესორმა ი. ხელაშვილმა. მან აღნიშნა, რომ 5 ადგილის დამატება არ არის საკმარისი. ვინაიდან, მოთხოვნა ამ დარგის სპეციალისტებზე მოთხოვნა დიდია, დაახლოებით რამოდენიმე ათასია მენეჯერულ პოზიციებზე და ზოგადად, წელიწადში მოთხოვნა არის 10 000. მან გამოთქვა იმედი, რომ შემდგომ წლებში კვოტა გაიზრდება.

დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, თ. ბერიძემ. მან პროფ. ი. ხელაშვილს სთხოვა გაკეთდეს ტურიზმის საერთაშორისო სკოლის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ტურიზმის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით (დანართი 2).

3. ცვლილებები ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაში

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ უპირველეს ყოვლისა, საკითხი ეხება ხელმძღვანელების საკითხს. ეკონომიკის მიმართულებით, ყველა კათედრის ხელმძღვანელი, პირობითად რომ ვთქვათ მოდულის ხელმძღვანელი, არის პროგრამის ხელმძღვანელი და გვყავს ერთი კოორდინატორი. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით დარღვეული იყო აკადემიური საბჭოს #47-ე დადგენილება - საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების პროცედურა. კერძოდ ბაკალავრიატში პროგრამის ხელმძღვანელი არის მხოლოდ პროფ. ნ. თოდუა და მაგისტრატურაში პროფ. ი. კოვზანაძე. მოდულის ხელმძღვანელები არ არიან პროგრამის ხელმძღვანელებად მითითებული, არადა მათაც დიდი როლი შეასრულეს ამ პროგრამების შედგენაში. ჩვენ მოგვმართა აკად. ა. სილაგაძემ იმასთან დაკავშირებით, რომ როტაციით მომხდარიყო პროგრამის კოორდინატორის ცვლილება. ეს არ ჩანს ზემოთ აღნიშნული აკადემიური საბჭოს #47-ე დადგენილებაში, რომელიც

ეხება პროგრამების შედგენის და განხილვის წესს, მაგრამ ფაკულტეტის დებულება ითვალისწინებს კოორდინატორის დანიშვნას როტაციის წესით. პროფესორთა სხდომამ, რომელიც გაიმართა რამდენიმე ხნის წინ, მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ პროგრამის კოორდინატორად ბაკალავრიატის მიმართულებით დამტკიცებულიყო პროფ. ნ. თოდუა. მართლაც მომწიფდა საკითხი იმის შესახებ, რომ როტაციის წესით მოხდეს პროგრამის ხელმძღვანელთა ცვლილება, მაგრამ ამისთვის საჭიროა სამართლებრივი საკითხების დამუშავება, ასევე, როტაციის პრინციპების დადგენა.

აქედან გამომდინარე, ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით პროგრამის ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ. რაც შეეხება კოორდინატორს, როტაციის სისტემის ასამოქმედებლად უმჯობესია გაზაფხულის სემესტრში მოხდეს ამ საკითხის განხილვა. ამასთან მან აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელების დამტკიცება არის აუცილებელი პორიბა იმისა, რომ შემდგომ ეტაპზე დამტკიცდეს ბაკალავრიატში ბიზნესის ადმინისტირების მიმართულებით კოორდინატორი.

აზრი გამოთქვეს:

დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, თ. ბერიძემ. მან აღნიშნა, რომ ეს მეტად პრინციპული და აქტუალური საკითხია, რადგანაც საუბარია კოორდინატორზე, რომელიც გაუწევს სხდომებს თავმჯდომარეობას. მან აღნიშნა, რომ ამ საკითხში იგი პრობლემას ვერ ხედავს. გაზაფხულის სემესტრისთვის უნდა მოხდეს აღნიშნული საკითხის მომზადება და განხილვა. მან საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით, რომ საკითხი მომზადდეს და მისი განხილვა გაგრძელდეს საბჭოს სხდომაზე.

პროფესორმა, აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ. მან აღნიშნა, რომ მისთვის მისაღებია შემოთავაზებული ვარიანტი და ის დიდი ხანია ითხოვს, რომ აღსრულდეს საბჭოს გადაწყვეტილება, რადგან ხშირად ხდება ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც არ სრულდება. მან ასევე აღნიშნა, რომ წინა სხდომებზე გამოითქვა შენიშვნები ეკონომიკის საერთაშორისო სკოლასთან დაკავშირებით, მაგრამ დღემდე არ დაწყებულა სამუშაო ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე. სისტემა უნდა შეიცვალოს და გახდეს კონკურენტუნარიანი. ამისთვის საჭიროა როტაციის პრონციპი ამოქმედდეს. მან აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში მის მიერ ხდებოდა ამ საკითხის დაყენება, მაგრამ მოხდა საკითხის იგნორირება.

დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, თ. ბერიძემ. მან აღნიშნა, რომ პროფესორ ა. სილაგაძის წინადადება აბსოლუტურად მისაღებია. როტაცია ნიშნავს იმას, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ პროგრამის კოორდინატორი უნდა შეიცვალოს. მაგრამ საჭიროა დამატებით რეგულაციების შემუშავება.

პროფესორმა ნ. ხადურმა. მან აღნიშნა, რომ ის პროგრამის ხელმძღვანელი არის 2006 წლიდან და პროგრამამ 2-ჯერ გაიარა აკრედიტაცია. მან აღნიშნა, რომ როტაციის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ ამ საკითხის განხილვა არ უნდა მოხდეს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. უნდა მოხდეს მიმართულების პროფესორების შეკრება და იქ უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება.

ასოცირებულმა პროფესორმა შ. შაბურიშვილმა. მის მიერ გაკეთდა განაცხადება, რომ პროგრამის ხელმძღვანელებთან დაკავშირებით აქვს ინფორმაცია და აღნიშნა, რომ პროგრამის მოდულის ხელმძღვანელებს ირჩევს კათედრა. მან წარმოადგინა საერთაშორისო ბიზნესის კათედრის შესახებ ინფორმაცია და აღნიშნა, რომ საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე გასული წლის ოქტომბრის თვეში ჩატარდა კათედრის სხდომა, სადაც განხილულ იქნა მოდულის ხელმძღვანელის საკითხი და ბაკალავრიატში პროგრამის ხელმძღვანელად არჩეული იქნა პროფ. ლ. ყორღანაშვილი, მაგისტრატურაში - ასოც. პროფ. დ. სიხარულიძე და ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილი. მან ასევე აღნიშნა, რომ ამის შესახებ წერილი დაიწერა, თუმცა, დღეს საბჭოს სხდომაზე, პროგრამის (მოდულის) ხელმძღვანელად წარმოდგენილია პროფესორი თ. შენგელია. მან მოითხოვა არგუმენტაცია, როგორ მოხდა ეს და რა სამართლებრივი საფუძვლები არსებობს აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ. ასევე საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი და თხოვა საბჭოს წევრებს, რომ არ დაუჭირონ მხარი პროფ. თ. შენგელიას პროგრამის ხელმძღვანელად არჩევას და არგუმენტად დაასახელა ის ფაქტი, რომ პროფესორი თ. შენგელია არ იყო არჩეული კათედრის მიერ.

ასოცირებულმა პროფესორმა შ. შაბურიშვილმა აღნიშნა, რომ საერთაშრისო ბიზნესის კათედრაზე შემოსული იყო დეკანის წერილი, რათა შევსებულიყო ფაკულტეტის საბჭოში გამონთავისუფლებული ადგილი კათედრიდან. მან აღნიშნა, რომ კათედრის იმავე სხდომაზე (17 ოქტომბერი, 2016 წელი) ჩატარდა არჩევნები და არჩევნების შედეგად ის აირჩიეს ფაკულტეტის საბჭოს წევრად. მის მიერ აღინიშნა, რომ არჩევნებიდან ოთხი თვეა გასული, თუმცა, არ ხდება მისი ლეგიტიმაცია ფაკულტეტის საბჭოში და მოითხოვა ამ საკითხთან დაკავშრებით წერილობითი არგუმენტაცია და იმის ახსნა, თუ რატომ ხდება კათედრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეფერხება. ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სილაბუსები, რომელიც შეეხება საერთაშორისო ბიზნესის მოდულს, არცერთი არ არის განხილული და დამტკიცებული საერთაშორისო ბიზნესის კათედრის სხდომაზე. ამ საკითხთან დაკავშრებითაც მოითხოვა პასუხი და საბჭოს მიმართა, რომ ამ მიმართულებით პროგრამაში ცვლილებას საბჭომ მხარი არ დაუჭიროს, ვინაიდან, ეს არ არის ლეგიტიმური და ეს არის დებულებისა და პროცედურის დარღვევა.

დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, თ. ბერიძემ. მან გააკეთა კომენტარი ასოცირებული პროფესორის შ. შაბურიშვილის ინფორმაციასთან დაკავშრებით და აღნიშნა, რომ არსებული შეკითხვა (საკითხი) შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: ერთი, უფლებამოსილების დამტკიცება,

რომელიც ცალკე საკითხია და განხილული იქნება. პირადად ადრესტთან (ბატონი შოთა) და ბატონ თემურ შენგელიასთან შეხვედრის დროს მოხდა ამ საკითხის განხილვა და მას აღარ დაუბრუნდება. რაც შეეხება, მეორე საკითხს პროგრამებთან დაკავშირებით, მან კომენტარი მოთხოვა ქალბატონ, ეთერ ხარაიშვილს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ე. ხარაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ბატონი თემური შენგელია მოდულის ხელმძღვანელად ჯერ კიდევ ბატონი იაშა მესხიას დროს იყო და ის ოფიციალურად არ შეცვლილა. ცნობილია, რომ საერთაშორისო ბიზნესის კათედრის სხდომაზე მოხდა მოდულის ხელმძღვანელების ცვლილება. ეს საკითხი არ განხილულა ბიზნესის ადმინისტრირების პროფესორთა მიმართულების სხდომაზე. ამ თვალსაზრისით გადაწყვეტილების მისაღებად კვლავ მსჯელობა არის საჭირო. მოდულის ხელმძღვანელის ცვლილება აუცილებლად უნდა შეჯერდეს კათედრის სხდომაზე, მით უმეტეს, კათედრას ჰყავს პროფესორი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ მიმართულებას. პროფ. თ. შენგელიამ ცვლილებების შესახებ მოგვმართა წერილით, თუმცა თან არ ახლდა კათედრის სხდომის ამონაწერი. წერილი განსახილველად გადავეცით პროფ. ნუგზარ თოდუას (საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს). მან მოიწვია პროფესორთა სხდომა, რომელზეც დამტკიცდა პროფ. შენგელიას მიერ წარმოდგენილი ცვლილებები კათედრის სხდომის ამონაწერის გარეშე.

რაც შეეხება დანარჩენ საგნებს, მაგალითად, მაგისტრატურა მოდულის მიხედვით საგნების უმეტესობაში ცვლილება წარმოდგენილია პროფ. იაშა მესხიას ხელმოწერით ოქმიდან ამონაწერებით, შესაბამისი დოკუმენტაციით და მათ შორის პროფესორთა სხდომის ოქმით. პროფ. თ. შენგელიას წერილის საფუძველზე საგნები ,,საერთაშორისო ბიზნესის უსაფრთხოება'' და ,,საერთაშორისო ფინანსები", რომელთა ავტორი იყო პროფ. ი. მესხია ჩანაცვლდა საგნებით: ,,საერთაშორისო ბიზნეს-კომუნიკაციები" (ავტორი თ. შენგელია) და ,,საერთაშორისო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა" (ავტორი ხ. ბერიშვილი). ცვლილებებზე გადაწყვეტილება მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების პროფესორთა სხდომამ.

მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია კიდევ ერთი ცვლილების შესახებ: ბატონი თემური შემოვიდა წინადადებით იმის შესახებ, რომ საგანი ,,კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში", რომელიც ამჟამად იკითხება გაზაფხულის სემესტრში, გადაგვეტანა შემოდგომის სემესტრში სასწავლო კურსის „ევროკავშირის ბიზნეს გარემო" ნაცვლად, ხოლო გაზაფხულის სემესტრში დამატებოდა საგანი ,,საერთაშორისო ვაჭრობა" (სილაბუსის ავტორი ლარისა ყორღანაშვილი). ჩვენ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში მივიღეთ შემდეგი სახის რეკომენდაცია: ,,კროს კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში" არის მოდულის დამამთავრებელი კურსის 5 კრედიტიანი საგანი და იმ შემთხვევაში თუ გაზაფხულის სემესტრიდან გადავიდოდა შემოდგომის სემესტრში, სტუდენტს დააკლდებოდა 5 კრედიტი და ვერ მიიღებდა შესაბამის ხარისხს. ხოლო ამ პირობის გათვალისწინებით

საგანს ,,საერთაშორისო ვაჭრობა“ ვერ ჩავსვამთ შესაბამის სემესტრში, რადგან ის კრედიტების თვალსაზრისით უკვე ზედმეტია. ბატონ ნუგზარ თოდუას და თემურ შენგელიასთან შეთანხმების საფუძველზე ამ საკითხს კენჭისყრაზე არ ვაყენებთ. ასევე, მინდა დავამატო, რომ პროფესორმა თემურ შენგელიამ კანცელარიის გზით კვლავ შემოიტანა წერილი დამატებითი ცვლილების შესახებ. იმის გამო, რომ ეს საკითხი არ განხილულა პროფესორთა სხდომაზე, მას განვიხილავთ შემდეგ ეტაპზე შესაბამისი პროცედურების დაცვით და გამოვიტანთ თქვენს წინაშე დასამტკიცებლად.

დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, თ. ბერიძემ. მან აღნიშნა, რომ ეს საკითხი გადაიდო.

ასოცირებულმა პროფესორმა შ. შაბურიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სილაბუსები, რომელიც არის პროფ. თემურ შენგელიას მიერ წარმოდგენილი, კათედრას არ აქვს ნანახი და არ იცნობს. ამასთან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი დაგზავნილი სილაბუსი, რომელსაც ის გაეცნო უხარისხოა, არც სტუდენტების ინტერესებს შეესაბამება და აკრედიტაციაზეც პრობლემები შეექმნება ფაკულტეტს. გამომდინარე აქედან, მან მოითხოვა, რომ ყველა სილაბუსი და ყველა ცვლილება კათედრამ განიხილოს, ისევე, როგორც ყველა სხვა კათედრაზე მოხდა წესის დაცვით. ასევე, დააყენა საკითხი, რომ კათედრამ მისცეს ლეგიტიმაცია თავის მოდულს ვინ უნდა გაუძღვეს. მან მოითხოვა ინფორმაციის დამატება იმის შესახებ, რომ ბატონი თემურ შენგელია სამი წლის მანძილზე კათედრის სხდომებს არ ესწრებოდა და როდესაც ხდებოდა მოდულზე მუშაობა, მას არანაირი მონაწილეობა არ აქვს მიღებული და თავადაც აღიარებს ამას. მან აღნიშნა, რომ ,,მექანიკურად მისი ხელმძღვანელად ჩასმა და ამის მხარდაჭერა, სულ ცოტა, უხერხული იქნება ფაკულტეტის საბჭოსთვის.“

დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, თ. ბერიძემ. მან აღნიშნა, რომ ის ემხრობა შ. შაბურიშვილს, მაგრამ მთლიანად არა, რადგან ბატონი თემურ შენგელია არის კათედრის ხელმძღვანელი და შესაბამისად ის უნდა იყოს წარმოდგენილი თავისი პოზიციიდან, თავისი სტატუსით. მან სთხოვა ბატონ თემურ შენგელიას პასუხი გასცეს საბჭოზე წამოჭრილ საკითხებს.

პროფესორმა თ. შენგელიამ. მან აღნიშნა, რომ საბჭოზე არ უნდა მიმდინარეობდეს ამ საკითხებზე დისკუსია. საბჭოზე გამოდის მზა პროექტი, სადაც უნდა ხდებოდეს კენჭისყრა. აღნიშნა, რომ არსებობს ზოგიერთს გააჩნია ,,აკვიატებული იდეა“ იმის შესახებ, რომ ხდება არალეგიტიმური არჩევა. რეალურად კი საქმის ვითარება არის სხვა. მან აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ, ოქტომბრის თვეში, მას სტატუსიდან გამომდინარე, დაევალა კათედრის ხელმძღვანელობა (რაც გასაჩივრებული იყო ზოგიერთი პიროვნების მიერ) და მან მიმართა თსუ იურიდიულ დეპარტამენტს, რომელმაც მოხსნა ყველა ეჭვი ამ საკითხზე. იურიდიული დეპარტამენტიდან მოვიდა ცალსახა პასუხი იმის შესახებ, რომ კათედრას ხელმძღვანელობს პროფესორი და გამომდინარე აქედან, არანაირი ლეგიტიმაცია არ არის საჭირო. ასევე მის მიერ აღინიშნა, რომ დღეს, დეკანმა გვთხოვა მოგვეწყო შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ერთად. ამ შეხვედრაზე

ყველა სამართლებრივი ნიუანსი შეჯერდა და გამოიკვეთა, რომ ყველა მოქმედება, რომელიც განხორციელდა მის მიერ, არის კანონთან სრულ შესაბამისობაში. მან აღნიშნა, რომ პროგრამა, რომელიც წარმოადგინა, არის არსებული კანონმდებლობის, ანუ ფაკულტეტის დებულების სრულად შესაბამისი, პროცესუალური ნორმების დაცვით შესრულებული.

მან წარმოადგინა პროგრამის განხილვის ეტაპები, კერძოდ აღნიშნა, რომ პროგრამის განხილვას მიეძღვნა პროფესორთა საბჭოს სამი სხდომა, სადაც იყო საქმიანი მსჯელობა ამ საკითხებზე. ბოლო სხდომაზე, კათედრის ხელმძღვანელები, პროფესორები, შეჯერდნენ იმაზე, რომ პროგრამა არის აბსოლუტურად ლეგიტიმური. ასევე განმარტა, რომ პროფ. ი.მესხიას გარდაცვალების შემდეგ გაურკვეველი დარჩა 7 საგნის ბედი, რომელსაც დიდი ძალისხმევა სჭირდება და შვიდივე საგანი ოპერატიულად ჩანაცვლდა მაღალი კვალიფიკაციის მქონე ასოცირებული პროფესორების სილაბუსებით, მათ შორის არიან მეცნიერებათა დოქტორებიც. მან სიყალბედ მიიჩნია შ. შაბურიშვილის შენიშვნა იმის შესახებ, რომ მეცნიერებათა დოქტორი ვერ ადგენს სილაბუსს. აღნიშნა, რომ კათედრის სხდომის ჩატარებამდე ის სილაბუსები, რომელიც იყო სადისკუსიო, გადაეგზავნათ კათედრის წევრებს (ის გადააგზავნა პროფესორის ასისტენტმა, პარასკევს, დღის მეორე ნახევარში) და მათ ჰქონდათ დრო სილაბუსების განსახილველად (შაბათ-კვირა), ორშაბათი იყო უქმე დღე და სამშაბათს ისევ მოიწვია კათედრის სხდომა. თ. შენგელიამ პრეტანზია გამოთქვა შ. შაბურიშვილის მიერ შედგენილი სილაბუსების შესახებ და აღნიშნა, რომ მან განახორციელა სილაბუსში ცვლილება კათედრის ლეგიტიმური ხელმძღვანელის ნებართვის გარეშე. ეს იყო აუცილებელი, ვინაიდან, პროგრამა არისაკრედიტირებული 2016 წლამდე და მისი ხელმძღვანელია პროფ. თ. შენგელია. მან აღნიშნა, რომ ბატონი ი. მესხიას ავტორიტეტის პატივისცემით იგი არ ჩარეულა ამ ცვლილებებთან დაკავშრებით.

პროფესორმა თ. შენგელიამ ყურადღება გაამახვილა ერთ ფაქტზე, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ 2015 წლის დეკემბერში აწ განსვენებულმა პროფესორმა ი. მესხიამ კათედრის სხდომაზე გამოიტანა საკითხი პროგრამის ხელმძღვანელების ცვლილების შესახებ და ითხოვა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი თვითონაც ყოფილოყო, რომელზეც მისცა თანხმობა. მან ასევე აღნიშნა, რომ კათედრაზე არის ოქმი, სადაც ფიქსირდება, რომ კათედრის სრულმა შემადგენლობამ მეორეჯერ კიდევ უყარა კენჭი და სრული შემადგენლობა დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას გარდა შოთა შაბურიშვილისა, რომელმაც დემონსტრაციულად დატოვა კათედრის სხდომა.

სილაბუსების წარდგენისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ თ. შენგელიამ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დებულება განსაზღვრავს სილაბუსის დამტკიცების წესს. სამართლებრივად ყველაფერი დაცულია და დღეს წარმოდგენილი სილაბუსები, პროგრამა და პროგრამის ხელმძღვანელები საბჭოზე უნდა დამტკიცდეს. მან აღნიშნა,

რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, 20 იანვრიდან იწყება სასწავლო ცხრილების შედგენა და მთელი რიგი საგნების ბედი იქნება გაურკვეველი.

პროფ. თ შენგელიამ დეკანს მიმართა და აღნიშნა, რომ ის ითხოვს დამტკიცდეს პროგრამა და არ იყოს არავითარი შეფერხება, რადგან დაუმტკიცებლობის შემთხვევაში მოხდება კოლაფსი და ამას თან მოჰყვება გარკვეული სამართლებრივი შედეგები.

სტუდენტმა ტ. გაგელიძემ. მან მიმართა ახსნისთვის პროფ. თ. შენგელიას იმის შესახებ, რომ ბატონი შოთა შაბურიშვილის მიერ წარმოდგენილი ცვლილებებთან დაკავშრებული საკითხი მართლა კათედრაზე იქნა დამტკიცებული თუ ,,იქ, სადღაც...“ მან აღნიშნა, რომ ზუსტად იცის, რომ ეს საბჭოს პრეროგატივაა და შეგვიძლია ჯერ განვიხილოთ და შემდგომ ვუყაროთ კენჭი. მან აღნიშნა, რომ ,,დღეს მე თუ მაქვს იმის განცდა, რომ არ უნდა დავამტკიცო, ჰაერში არ უნდა ეკიდებოდეს, და, თუ ეს ასე ხდება, უნდა იქნას მუშაობა გაგრძელებული და საბოლოო ჯამში შევჯერდეთ ისეთ მოდელზე, რომელიც პირველ რიგში კათედრას და შემდეგ საბჭოს აწყობს.''

პროფესორმა თ. შენგელიამ. მან უპასუხა სტუდენტის შეკითხვას და აუხსნა სილაბუსის შედგენის წესი, კერძოდ ის, რომ სილაბუსს ადგენს პროფესორი, რომელიც გასულია კონკურსის გზით და მის კვალიფიკაციაში ეჭვის შეტანა არ შეგვიძლია. სილაბუსი დგება ინდივიდუალურად საგნის მიხედვით და ყველაზე მაღალი კვალიფიკაცია გააჩნია მის ავტორს. ამასთან აღნიშნა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონი ცალსახად გვეუბნება, რომ შევინარჩუნოთ აკადემიური თავისუფლება ამ სფეროში. მის მიერ აღნიშნულ იქნა ის ფაქტი, რომ სილაბუსი შემოიტანა ავტორმა და იგი წარუდგინა კათედრის წევრებს და თხოვა წარმოედგინათ საქმიანი შენიშვნები (ელექტრონული გზით) შემდგომ, პირველად კათედრის სხდომაზე. აქვე აღნიშნა, რომ საქმიანი წინადადებები ლოგიკურად ვერ მოვიდოდა, რადგან ყველაზე მაღალი კვალიფიკაცია ამ საკითხებში აქვს სილაბუსის ავტორს. ასევე აღნიშნა მთავარი ფაქტის შესახებ, რომ პროფესორები პატივს ვცემთ ერთმანეთს და თუ რომელიმე პროფესორი მეორე პროფესორის კვალიფიკაციას აყენებს ეჭვქვეშ, ეს არის ძალიან სერიოზული ფაქტია და მას ამის უფლება არ აქვს. ახსნა, რომ საკითხის განხილვა არის სხვა, ხოლო კათედრაზე დამტკიცება არის სხვა. მის მიერ ინიცირებული იქნა, რომ დებულება არ ითხოვს კათედრაზე დამტკიცებას. დებულება ითხოვს განხილვას და განხილვის ყველა პროცედურა იყოს განვლილი ისე, როგორც მიღებულია საკანონმდებლო ორგანოს - ფაკულტეტის საბჭოს მიერ. მან აღნიშნა, რომ გამოიყენა ყველა ლეგიტიმური უფლება და ,,დღეს დარჩა მხოლოდ ერთი საკითხი - დამტკიცება.“

ასოცირებულმა პროფესორმა ე. ლეკაშვილმა. მან აღნიშნა, რომ როდესაც ფაკულტეტზე ასეთი კონფლიქტი იქმნება, არის ბევრი საშუალება იმისა, რომ ეს დარეგულირდეს. საჭიროა რომელიმე ადმინისტრაციულმა რგოლმა ითავოს კონფლიქტის მოგვარების ვალდებულება - მოხდეს სილაბუსების შეჯერება. მსგავსი შემთხვევები ფაკულტეტზე

არსებობდა და პრობლემები ამგვარად მოგვარდა. საჭიროა პროფესორებმა აღიარონ ერთმანეთის კვალიფიკაცია და პატივი სცენ ერთმანეთს, პრობლემები კი მოგვარდეს კოლეგიალურად.

პროფესორმა, აკადმიკოსმა ა. სილაგაძემ. მან აღნიშნა, რომ სხვადასხვა დრო (მ.შ.საკადემიურ საბჭოზეც) არაერთხელ განაცხადა სილაბუსების გამარტივების შესახებ. არსებულმა სტანდარტმა შეასრულა თავის ფუნქცია. მან აღნიშნა, რომ პროფესორებმა, ხარისხის სამსახურთან ერთად ამ საკითხზე ერთობლივი მუშაობა უნდა დაიწყონ.

მან აღნიშნა, რომ პროფესორი, რომელიც კონკურსის გზითაა არჩეული, კანონის ფარგლებში, არის პროგრამის ხელმძღვანელი. მასთან ერთად შესაძლოა იყოს სხვაც და ასეთი მაგალითები არსებობს. კათედრა ოფიციალურად შესაძლოა არ იყოს, თუმცა, ჩვენს ფაკულტეტზე არის. კათედრას არ აქვს გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება. პროფესორი, რადგან არის ხელმძღვანელი, ცხადია მას თავის შეხედულებითაც შეუძლია გადაწყვეტილების მიღება.

ასოცირებულმა პროფესორმა დ. სიხარულიძემ. მან საბჭოს წევრებს დაუსვა შეკითხვა: ,,მაშინ რა არის კათედრის ფუნქცია?“

პროფესორმა, აკადმიკოსმა ა. სილაგაძემ. მან განმარტა, რომ სამწუხაროდ, კათედრას არ აქვს მნიშვნელოვანი ფუნქცია, ის არის სარეკომენდაციო ორგანო, სადაც პროფესორები ხვდებიან ერთმანეთს და მსჯელობენ, მაგრამ იმპერატიულად რომ რამე გადაწყვეტიულება მიიღოს, ასეთი ჩანაწერი კანონში არ არის. კათედრის ფუნქციები არ არის კანონით განსაზღვრული, მაგრამ დებულებაში ეს არის.

დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ, თ. ბერიძემ. მან აღნიშნა, რომ პროფ. ე. მექვაბიშვილმა წარმოადგინა წინადადებები კათედრის ფუნქციების შესახებ და ეს განხილვის პროცესშია. თსუ-ში არის ფაკულტეტები, სადაც კათედრები არ არის, მათ ნაცვლად არსებობს დეპარტამენტები. მან აღნიშნა, რომ მისი შეხედულებით, კათედრა არის ყველაზე კლასიკური ფორმა ერთეულისა, რომელმაც უნდა წარმართოს სასწავლო პროცესი იმ მიმართულებით, რომელიც მას გააჩნია.

ასოცირებულმა პროფესორმა შ. შაბურიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დებულებაში არის წარმოდგენილი 2 სტრუქტურული ერთეული: ფაკულტეტის საბჭო და კათედრა. მის მიერ დებულების შესაბამისად ინიცირებული იქნა ის ფაქტი, რომ კათედრაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ამასთან აღნიშნა, რომ პროგრამის შედგენის პროცედურით გათვალისწინებულია ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის (სტრუქტურული ერთეული არის ის, რაც დებულებით არის განსაზღვრული და არა პროფესორთა საბჭო, რაც არ უნდა საპატივცემულო ხალხი უნდა იყოს იქ) მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ანუ კათედრის. კათედრიდან

წამოსული ინიციატივა უნდა განიხილოს ფაკულტეტის საბჭომ და მიიღოს გადაწყვეტილება. მან აღნიშნა, რომ კათედრამ მიიღო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ,,საპირისპიროს დამტკიცებას მცდელობას აქვს ადგილი“.

პროფესორმა თ. შენგელიამ. მან აღნიშნა, რომ დასმული მოსაზრებები საინტერესოა, ასეთი უხეში ინტერპრეტაციები ფაკულტეტის დებულებაში რომ არ იყოს, არ იქნებოდა აღნიშნული დისკუსია. მან ხაზი გაუსვა ფაკულტეტის დებულების მე-5 მუხლს, რომელიც განსაზღვრავს კათედრის უფლებამოსილებას და წერია, რომ კათედრას ხელმძღვანელობს პროფესორი და თუ, პროფესორი კათედრას არ გააჩნია, დროებით ეს ფუნქცია შეიძლება შეითავსოს ასოცირებულმა პროფესორმა. ამავე დებულებაში წერია, რომ კათედრის სხდომას თავმჯდომარეობს კათედრის ხელმძღვანელი. ეს ნიშნავს იმას, რომ კათედრის სხდომაზე თავმჯდომარეს გამოაქვს დღის წესრიგი, აცნობს კათედრის წევრებს და აუცილებლობის შემთხვევაში აქვს უფლება დააყენოს კენჭსყრაზე ცალკეული საკითხი. მან აღნიშნა, რომ არსად არ წერია, რომ ყველა საკითხი, რომელიც შემოდის კათედრაზე, უნდა იქნას დამტკიცებიული უმრავლესობის მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ ჩავარდებით სერიოზულ კოლაფსში. მან ასევე ისაუბრა ეთიკის ეთიკის კოდექზე, კერძოდ ის ფაქტი, რომ იკრძალება პროფესორის მიერ მეორე პროფესორის დისკრიმინაცია და აღნიშნა, რომ თუ პროფესორს უნდა საგანი ასწავლოს კონკრეტული სილაბუსით, კათედრამ ეს უმრავლესობით არ უნდა დაამტკიცოს (ციტირება: ,,კათედრამ უმრავლესობით უნდა დაამტკიცოს ეს?“), ვინაიდან, ეს ქმნის კომიკურ სიტუაციას.

მან აღნიშნა ასევე ის, რომ დებულების თანახმად პროგრამა მტკიცდება ან შესაბამისი სტურქტურული ერთეულის ან პროფესორთა შემადგენლობის მიერ და პროფესორთა შემადგენლობას თავმჯდომარეობს კოორდინატორი. მან აღნიშნა, რომ ,,თუ საგნობრივი შენიშვნებია სილაბუსის მიმართ, ეს მისაღებია. როდესაც კათედრის ხელმძღვანელს დღის წესრიგში საკითხი არ შეაქვს, რადგან მიაჩნია, რომ ეს საკითხი არ მოითხოვს კენჭისყრას და როდესაც რომელიმე კათედრის წევრი ჯიქურ ეყრდნობა იმ ნორმას, სადაც გადაწყვეტილების მიღების წესზეა საუბარი, მე ამას ვუპირისპირებ მეორე ნორმას, რომელიც თავისი ლეგიტიმაციით არის უფრო მაღალი და განისაზღვრება პუნქტი ,,ა“ -ით, სადაც წერია: პროფესორთა სხდომაზე ანუ იგულისხმება კათედრის ხელმძღვალების სხდომა. კათედრის ხელმძღვანელების სხდომაზე სამჯერ განვიხილეთ ეს საკითხი, გვქონდა მსჯელობა, გამოვთქვით შენიშვნები, ჩავასწორეთ და ამის მერე კენჭისყრით მივიღეთ გადაწყვეტილება.“

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ე. ხარაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ პროფ. ა. სილაგაძის წინადადება ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ, დღეს საბჭოს სხდომაზე უნდა დავამტკიცოთ მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელები და არა პროგრამის კოორდინატორები.

სტუდენტმა თ. ჩაჩავამ. მან დასვა შეკითხვა საგნის ,,ბიზნეს ადმინისტრირების საფუძვლების“ სილაბუსებთან დაკავშირებით, კერძოდ, რატომ არის სწავლება ამ საგანში ორი განსხვავებული სილაბუსით? აღნიშნა, რომ პირველკურსელებს არ ეძლევათ საგნების არჩევის საშუალება, მათ არ იციან რომელი სილაბუსით ასწავლიან და ეს ძალიან დიდ უკმაყოფილებას ქმნის სტუდენტებში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ე. ხარაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ პროფესორთა მიმართულების სხდომაზე განიხილეს ეს საკითხი და ოქმში ჩაიწერა, რომ სასურველია ერთ საგანში, ერთი სახელმძღვანელოს საფუძველზე აიგოს ერთი სილაბუსი. აკრედიტირებულ პროგრამაში, ამ ეტაპზე მას ვერ ვაუქმებთ, მაგრამ მომავალი სასწავლო წლიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაცია არის, რომ შეიქმნას ერთი სილაბუსი. მან აღნიშნა, რომ საგნების არჩევის შესახებ პირველ კურსზე, რომელსაც აკრედიტირებული პროგრამის მიხედვით ამ წელს რადიკალურ ცვლილებას ვერ განვახორციელებენ.

აქვე, ქ-მა ე. ხარაიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამებში ცვლილებების პაკეტი მომზადებულია და უახლოეს მომავალში მოხდება მისი განხილვა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 20
წინააღმდეგი – 5

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით (დანართი 3).

მოისმინეს: პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილისთვის ივ. ჯავახიშვილის მედლის მინიჭების შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/

ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა თ. ბერიძემ ხაზი გაუსვა პროფესორ ე. მექვაბიშვილის ღვაწლს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წინაშე სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის თვალსაზრისით და საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი პროფესორ ე. მექვაბიშვილისთვის ივ. ჯავახიშვილის მედლის მინიჭების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. მიენიჭოს პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილს ივ. ჯავახიშვილის მედალი.
2. ეთხოვოს შუამდგომლობა თსუ აკადემიური საბჭოს აღნიშნული საკითხის დასამტკიცებლად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. ბერიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვალაძე